1990 წ. ივნისი № 6

ISSN 0132-5065

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიანჭველა

72
990

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელას სიმღერა...

აკაკი წერეთელი

ჩონგურს სიმები გავუბი,
მოვმართე ნელა-ნელაო;
შევუხმატკბილე ერთმანეთს,
ოდელა-დელა-დელაო!
თავ-თავის ჰანგზე, თავის ხმით
წკრიალებს ერთად ყველაო,
ერთი-მეორის თანხმობით:
ოდელა-დელა-დელაო!
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური:
ოდელა-დელა-დელაო!..
ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები,
ოდელა-დელა-დელაო!..

ჩვენც ხომ სიმების სისუსტემ
სინათლე დაგვიბნელაო!..
ბნელში რა სასიმღეროა:
ოდელა-დელა-დელაო!
მწერიც კი ცხოვრობს თანხმობით,
ფუტკარი... ჭიანჭველაო!..
და ჩვენ რათ ვმღერით ცალ-ცალკე:
ოდელა-დელა-დელაო?!
ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის — სახრჩობელაო!..
მტრებს „ვაი დედა“ ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ: დელა-დელაო!
კმარა, ამდენმა ცრემლებმა
სიმები დამისველაო!..
ვერც ვუკრავ... ვეღარცა ვმღერი,
ოდელა-დელა-დელაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

> თუ ჩვენ, ამერიკელები, ჩვენი უბადრუკი კულტურის განვითარებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ შეგვიძლია ბავშვებიც კი დავხოცოთ, — რა მიზეზით და რა სახის ფერითაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი ეს ხოცვა, — ჩვენ დამსახურებული გვაქვს მოსპობა და უნდა მოვისპოთ კიდეც.
>
> **უილიამ ფოლკნერი**

19.324

და მაინც

ანზორ აბულაშვილი

ამ ზურმუხტის მთა და ბარს
ამერ-იმერს — მადლიანს,
მზის და მთვარის საუფლოს,
სამოთხეს რომ ადრიან;
მთიანს,
ზღვიანს,
ველიანს,
მტკიცე ციხე-ტაძრიანს;
ამ ჩვენს „ვეფხისტყაოსანს“,
ბიჭვინთას თუ
ვარძიას,
მარტვილს,
გელათს,
ალავერდს,
მკვდრეთით აღმდგარ
ტანძიას, —
სიმხნით მამაცურით
ისევ გაუმარჯვიათ...



მხატვარი **გიორგი როინიშვილი**

აკაკი და ბულბულები

გურამ პეტრიაშვილი

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ალბათ, იცით, სიცოცხლეშივე საქართველოს ბულბული რომ შეარქვა ხალხმა აკაკის.

ეს ამბავი ბულბულების ყურამდეც მივიდა.

ჰოდა, ერთ მთვარიან ღამით საქართველოს ყველა კუთხიდან მოფრინდნენ მტკვრისპირის ჭალაში ბულბულები და დიდი სჯა-ბაასი გამართეს.

ბჭობდნენ, შეიძლება თუ არა, მივიჩნიოთ აკაკი ბულბულადო.

ხან რა თქვეს და ხან კიდევ — რა.

—ბულბულები ფრინველები ვართ, ეგ კი ადამიანია და არა ფრინავსო, —თქვა ერთმა.

—ფრენა არაა ბულბულისათვის მთავარი. ბიძაჩემი რა ხანია ფრთამოტეხილი ზის თავის ბუჩქში, მაგრამ აბა, გაეჯიბრე სტვენაში და ნახავ, არის თუ არა ბულბულიო. — უპასუხა მეორემ.

—განა აკაკის ჩვენსავით სტვენა-გალობა შეუძლიაო? —იკითხა მესამემ.

ამაზე მეოთხე ბულბულმა უპასუხა:

—ხვალ რომ ხმა ჩამიწყდეს, ანა ბულბული აღარ ვიქნები?

—თუ აკაკი ბულბულია, რატომ სულ ვარდებს არ დასტრიალებს თავსო, — შეეჭვდა მეხუთე ბულბული.

—ახლა უვარდებოდ რომ ვართ ამ ჭალაში, ამიტომ ბულბულები აღარა გვქვიაო? — მიუგო მეექვსემ.

ამის შემდეგ ყველა ჩაფიქრდა.

მთვარე ანათებდა ჭალას.

ძალიან ლამაზი სანახავი იყო მთვარიანში ბულბულებით დახუნძლული ბუჩქები.

დუმდნენ ბულბულები.

ფიქრობდნენ, მაინც რა არის ის, რაც ბულბულს ბულბულადა ხდისო.

ფიქრობდნენ და ფიქრობდნენ...

და უცებ ყველა ერთად მიხვდა, რომ ბულბულისათვის გულია მთავარი. გული, რომელიც მზადაა სასიმღეროდ, რომელიც სიხარულსაც და მწუხარებასაც ჰანგებად აქცევს.

მიხვდნენ და ისე ტკბილად ამღერდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებულები, რომ მთვარეს კინალამ დაავიწყდა, ცაზე გზა რომ ჰქონდა გასავლელი.

სიმღერა რომ დაასრულეს, ისევ იბაასეს და დაადგინეს, რომ ერთი თვის მანძილზე სადაც არ უნდა წასულიყო აკაკი, ყველგან თან უნდა გაჰყოლოდა რამდენიმე ბულბული. ერთი თვის თავზე კი კვლავ უნდა შეკრებილიყვნენ და ემსჯელათ, მართლაც ჰქონდა თუ არა აკაკის ბულბულის გული.

დაადგინეს და დილიდანვე შეუდგნენ საქმეს...

შორიახლოს დასდევდნენ პაწია გამყოლ-გამომყოლებად.

თბილისიდან ქუთაისში მიდიოდა აკაკი თუ ქუთაისიდან თბილისში, მის ეტლს ბულბულების გუნდი მისდევდა მუდამ. ერთნი რამდენიმე კილომეტრზე რომ გააცილებდნენ, მერე მათ სხვა გუნდი შეენაცვლებოდა და ასე ჩააცილებდნენ მეორე ქალაქში. დღისით შორიდან უცქეროდნენ. ღამით კი უფრო ახლოსაც მიფრინდებოდნენ ხოლმე. უცქეროდნენ...

როგორ იჯდა სავარძელში ჩაფიქრებული და ხელზე შუბლდაყრდნობილი.

როგორ იდგა განთიადისას აივანზე და

როგორ გაჰყურებდა მთვარეს...

ნაცნობებს როგორ ესალმებოდა ღიმილიანი...

როგორ გადმოჰყავდა ეტლიდან მანდილოსანი...

როგორ ყიდულობდა სულმთლად უცნობი ბავშვებისათვის შაქარყინულს...

ხან ვითომ შემთხვევით ძალიან ახლოს გაუფრენდნენ და თვალებში ჩახედავდნენ ხოლმე...

ხან ღამით ერთი ბულბული აკაკის ფანჯარასთან მიფრინდებოდა საცქერად, სხვები კი ბაღში სტვენას იწყებდნენ...

აკაკი, აბა, რისი აკაკი იქნებოდა, რომ ვერ ეგრძნო მისდამი ბულბულების ესოდენ დიდი ყურადღება.

იღიმებოდა და, როცა გვერდით ჩაუფრენდნენ, გულში იტყოდა ხოლმე: ჰაიტ, თქვე ონავრებოო.

ასე გავიდა მთელი თვე.

და როდესაც ბულბულები კვლავ შეიყარნენ მტკვრისპირის ჭალაში მთვარიან ღამით, ერთხმად დაასკვნეს, ბულბულია ნამდვილიო.

მერე კი აი, რა მოხდა:

ერთ დიდ წვეულებაზე, როდესაც უამრავი ქალი და კაცი სულგანაბული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსმენდა აკაკის, უცებ ფანჯარაში ბულბული შემოფრინდა და ჭაღარა თმაზე დააჯდა პოეტს.

აკაკიმ ლექსის თქმა შეწყვიტა, თავი არ გაუტოკებია, მხოლოდ თვალის გუგები ასწია, ბულბულს ახედა და გაიღიმა.

ბულბულმა კი ბულბულების ენაზე ესა თქვა:

— ჩვენ, სრულიად საქართველოს ბულბულები, ვაცხადებთ, რომ აკაკი საქართველოს მთავარი ბულბულია და ამის თქმით ამერ-იმერის ყველა ბულბული მის ქვეშევრდომად და შეგირდად ვაღიარებთ თავსო.

ხალხმა ტაში დასცხო, თუმცა ვერავინ გაიგო, რა თქვა ბულბულმა.

აკაკიმ კი ჩაიღიმა და ჩუმად ჩაიჩურჩულა: გმადლობთ, ჩიტუნებოო!

მას შემდეგ აკაკის მუდამ თან ახლ-ჰყვებოდნენ ბულბულების გუნდები.

დაჰყვებოდნენ, როგორც დაჰყვება მეფეს მისი ამალა...

აკაკი რომ გარდაიცვალა, ბულბულებს არ უგლოვიათ.

ბულბულებმა არ იციან, თუ რა არის სიკვდილი.

მათთვის სიცოცხლე და სიმღერა ერთია.

და რადგან აკაკის ლექსები გამუდმებით ეფინება სიმღერებად მთელ საქართველოს, ბულბულებს ჰგონიათ, ჩვენ არ ვიცით სადაა, თორემ აკაკი ცოცხალიაო.

მართალი თუ გინდათ, სწორედ რომ ეგრეა.

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

გიორგის სიმღერა

ახალი ძილისპირული

თამაზ ეგანოიძე

ლა-ლა-ლა-ლა, ლა-ლა-ლა-ლა,
ფუი, ეშმაკ-სატანას,
ვინ რა აღარ დააბრალა
საქართველოს ჰატარას...
როცა იგრძნეს მადა დიდი,
აქ დასახლდნენ, იქ არა,
„ინდი-მინდი, ფერად შინდი“...
გამომიგდეს წიქარა.
რა დღეშია, აბა, ვნახო
ბარემ ხარი ნიკორაც,—
არც მას დარჩა საბალახო,
ვითომც არა იყო-რა.
ჩვენი ძველი საძმო მიწა
ალუას როგორ დაუძვრეს,
კომბლე თუ არ გამოგვიჩნდა,
ამდენ მგელს რა გაუძლებს...

დიდი პოეტის პატარა მეგობრები

ვახტანგ სიდამონიძე

1904 წლის ნოემბერში აკაკი წერეთელი ავად გახდა. მან თითქოს სიკვდილის მოახლოება იგრძნო. ქართული გაზეთები ამის გამო მაშინვე ალაპარაკდნენ. მრავალი დეპეშა და გამამხნევებელი წერილი მოდიოდა პოეტის მისამართით.

აკაკიმ დაწერა მეტად სათუთი გრძნობით გამორჩეული ლექსი «უკანასკნელი», რომელიც გაზეთ «ცნობის ფურცელში» დაიბეჭდა 1904 წლის 12 დეკემბერს.

საყვარელი პოეტის ლექსმა მტკივნეულად იმოქმედა მკითხველებზე. ისევ ახმაურდნენ გაზეთები. დიდების გარდა პოეტს გამამხნევებელ წერილებს სწერდნენ პატარებიც. ორმა პატარამ კი ისეთი გულითადი ლექსები დაუწერა აკაკის, რომ ისინი მაშინვე გამოაქვეყნა იმავე გაზეთმა, რომელშიც აკაკის ლექსი დაიბეჭდა.

პირველი ლექსის ავტორი იყო «მოსწავლე», გვარი და სახელი არ არის ცნობილი.

პასუხად აკაკის

ანეტა იურკევიჩი

გულს ნუ გაიტეხ, მგოსანო,
ფიქრს ნუ ეძლევი მწარესა.
ნუ აატირებ შენს შემქმნელს
ზურმუხტფერს ტურფა მხარესა.
სიმებს ნუ შესწყვეტ ჩანგურსა,
ნუ მოშლი მისსა ჟღერასა,
სული და გული სჩვევია
შენს ტკბილს, ხან მწარე მღერასა.
არ დაგვეკარგვის ნაოფი
მისი, რაც დაგვითესია —
ვარდი რომ ვარდზე ამოვა,
ბუნების რიგი-წესია...
აღსდეგ, მგოსანო! მოჰფინე
კვლავ ია-ვარდი სულს და გულს
და მიესალმე მომავალს
ახალ ცხოვრების გაზაფხულს.

მეორე ლექსის ავტორი ტასო იურკევიჩია, პოლონური გვარისა, მაგრამ მშვენიერი ქართულით მეტყველი.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

აკაკის

გული უზომო ტანჯვით მეკვრება,
თვალთაგან მცვივა მდუღარე ცრემლი,
მას შემდეგ, როცა გადავიკითხე
მე შენი ლექსი
„უკანასკნელი“.
რამ დაგაღონა, გმირო
მგოსანო?
რამ შეგირეია ეგ მტკიცე
გული,
არა ერთგვარი ჭირის
მნახველი,
რისგან ხარ ასე შეშინებული?
კვლავ შენებურად უმღერე
მამულს,
ახალი ნათლის სხივით

შემკობილს,
სადაც შეხედავ
შეკავშირებულს
შენს თანამოძმეს და
მამულიშვილს,
მანამდის კია,
სულის მკურნალო,
ნუ დაგვაჯერებ
„უკანასკნელით“.
გამამხნევებელ შენგან
მოძღვრებას
სულ სხვა იმედით ველით და
ველით.

უთუოდ წამლად დაედო დიდ პოეტს მშობელი ხალხის მიერ ასეთი სიყვარულის გამოცხადება — აკაკი მალე გამოჯანმრთელდა და ამის შემდეგ კიდევ მთელი ათი წელი უანგაროდ ემსახურა თავის ქვეყანას.

დეიდა პელოს სტუმრობა

თამაზ ბიბილური

გიორგი უკვე დიდი ბიჭია. სკოლაში დადის, და როცა დედ-მამა მისი პატარაობის ამბებს ყვებიან, დაიმორცხვებს და მეორე ოთახში გაიპარება.

ამბების მოყოლა უფრო მაშინ იციან, თუ დეიდა პელო ესტუმრათ. ისიც წამოჯდება მაგიდასთან, თან ალუბლის მურაბიან ჩაისა წრუპავს, თან გაუთავებლად ქაქანებს:

— გახსოვთ? — იტყვის, მურაბიან კოვზს გალოკავს, ჩაის მოსვამს და გიორგის სიცილით გადმოხედავს.

ეხლა მოჰყვებაა...

— თავიდანვე კარგი ბიჭი იყო. — იცინის დეიდა პელო.

ახლა გიორგიც იცინის.

— ვუყვარდი, ვუყვარდი, გიყდებოდა. კამფეტებს მივცემდი ხოლმე და იმიტომ...

დეიდა პელო მოასუფთავებს მურაბის ლამბაქს და მამა ეტყვის, კიდევ გადაიღეო.

— მსუნაგი... სულ შეჭამს მურაბას, — ფიქრობს გიორგი.

თითქოს გიორგის გულში იჯდა, პელო თან ლამბაქს ივსებს, თან კისკისებს.

— სულ ხომ არ შევუჭამ ამ ბალღსა?!

იმ ლამბაქსაც მოასუფთავებს და აგძრელებს:

— ერთხელ,— ალბათ იფიქრა, მოდი, მეც პატივი ვცე დეიდა პელოსაო, — გასულა მეორე ოთახში (ტახტზე ვარ წამოწოლილი), გამოუტანია „სოსკა“ (მაწოვარა მაინც თქვასო, ბრაზობს გიორგი), მოვიდა, ტახტზე ამოფოფხდა, „სოსკა“ პირთან მომიტანა და მეუბნება: „ნანა... ნანა...“ ვიცინი, ვიცინი, ვკვდები სიცილით.

ისევ მოასუფთავა ლამბაქი, ისევ გადაიღო მურაბა და გაბა:

— ახლა იფიქრა, ეს რას ეყოფაო, უფრო დიდი პატივი უნდა ვცეო. ახლა იქ გავიდა, ჩვენ რომ ვიცით, და ღამის ქოთანს არ მოათრევს ბარბაცით? მოვიდა, ქალო, ტახტთან დამიდგა და მეუბნება, „დაჯედა, დაჯედაო“.ვითომ დაჯექიო... მააშ, ეგეთი კარგი ბალღი იყო...

გიორგი ბრაზობს. მეორე ოთახში გადის, მაგრამ დეიდა პელო იქაც გასძახის:

— ქოთანი არ გამომიტანო, ბიჭო!

რანაირია ეს დეიდა პელო!

რას არ მოიგონებს...

ეს ჩვენებიც დამდგარან და იცინიან.

ბარემ ყველაფერი თქვან...

და გიორგიმ აღარ იცის, მეორე ოთახში რაზე იცინიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე, კარგა შუაღამე რომ წამოვა, დეიდა პელო კვნესით წამოდგება და ქურქის ჩაცმას იწყებს. მამა ქუდს აწვდის. „მერსი", — იღიმება დეიდა პელო. დედა ეუბნება, ნეტავი რა გეჩქარებაო, სულაც აქ დარჩენილიყავი, რა მოხდებოდაო? ზოგი შენს ყმაწვილსა ჰკითხეო (მაინც გადმომკრაო, ეღიმება გიორგის), ეეხ, საკუთარ სახლს არაფერი სჯობსო... წავალ, წავჩანჩალდები, აბა, ხომ იცით, ავტობუსები როგორ მუშაობენო, — ჩივის დეიდა პელო და კარსაც აღებენ.

კარს გააღებენ თუ არა, გიორგის გამოსძახიან, მოდი, დაემშვიდობეო.

მხატვარი **ვაჟა ქურხული**

გიორგი არ გადის და ახლა დეიდა პელოს სიცილი ისმის:

— ტყუილად გაქე, ბიჭო, ესა და ისა-მეთქი?!

— თელავში როდის მიდიხარ, პელო?! — გასძახის დედა.

— წავალ, კატის გზა ბოსელია...

— არ დაგვივიწყო! გამოიარე!

— რატომაც არ გამოვივლი, რა დიდი მჭამელი მე ვარ?! — ხითხითებს დეიდა პელო.

კარი საბოლოოდ მიჯახუნდება და სიჩუმე ჩამოდგება.

გიორგიმ იცის: ახლა დედა შემოვა და საყვედურს ეტყვის, რატომ არ გააცილე, ეწყინებოდა, მარტოხელა ქალია, ჩვენს მეტი ვინა ჰყავს, შენ კი როგორ უყვარხარო.

გიორგი ხმას არ იღებს.

მერე ერთი კვირა გავა. დეიდა პელო არ გამოჩნდება. დედა იტყვის: აკი ვთქვი, ნაწყენი იქნება-მეთქი. მამა ანუგეშებს, — პელო და წყენაო? თელავში წავიდოდაო. ყველას რაღაც მოუსვენრობა დაეტყობა. თითქოს სახლი დაცარიელდაო, წარამარა ფანჯარაში იხედებიან, მაგრამ არა და არ ჩანს.

ერთ მშვენიერ საღამოს კი ზარი დაირეკება და... ქოთქოთით შემოფრიალდება დეიდა პელო!

გიორგი კისერზე ჩამოეკიდება.

— ჯერ არ დარეულხართ, თქვენმა მზემ, — ამბობს დედა.

მამა, დიდის ამბით, პელოს ქურქს ჩამოართმევს.

ყველანი იცინიან.

და ეს სიცილი გრძელდება მანამ, სანამ დეიდა პელო ისევ მაგიდასთან არ წამოსკუპდება, მურაბას არ გადაიღებს და თავისებურად არ დაიწყებს:

— გახსოვთ, ქალო?!...

ქავარჯნიანი ციყვი

ვახტანგ გორგანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპარ იყო,
ზღაპარ იყო,
ციყვი იხსნა
იმ დღეს ნიკომ.
ციყვი, ციყვი, ციყვუნია
ხის წვეროზე ასულიყო,
უცებ ტოტი მოსტეხიყო
და ძირს ჩამოვარდნილიყო,
ფეხზე ვეღარ დამდგარიყო...
...ანკი როგორ ადგებოდა,
ფეხი ჰქონდა მოტეხილი.
მერე რისთვის? ხის წვეროზე
დაენახა ერთი თხილი...
და იმ ერთი თხილისათვის
ძირს ტეაპანი მოადინა,
ზანზარებდა დედამიწა,
ცას სწვდებოდა მისი გმინვა.
გინდ ასე თქვი,
გინდა ისე,
ასე იყო
თუ არ იყო,

ციყვი გრძნობადაკარგული
სიკვდილისგან იხსნა ნიკომ.
მაშინათვე დაჰკრა ფეხი,
გადაევლო ნარს და ეკალს
და მეტეევის ტელეფონით
ნიკომ ექიმს დაურეკა:
— სამწუხარო ამბავია,
დაგვემართა საქმე გლახა,
ციყვმა ფეხი მოიტეხა
სისხამ დილით, სწორეთ ახლა.
მისამართსაც მოგახსენებთ,—
გამოსცდებით როგორც ღელეს,
იქ, რომ არის ბუჩქი თხილის,
იმას როგორც შემოუხვევთ,
მერე წახვალთ ცოტა იქით,
შეეურებით გზასთან მუხებს,
იმ მუხების ჩრდილში გვიწევს,
ზეცას სწვდება კვნესა მისი.
რა წამალი არ მივეცი,
არ შეუწყდა მაინც სისხლი.
სანამ გული დაიმშვიდა,

სანამ ნიკო მოტრიალდა,

ჰა, სასწრაფო დახმარებაც
შუა ტყეში მოგრიალდა.
ფეხი ნახეს, მერე სწრაფად
შეუმოწმეს სისხლის წნევა.
მაჯისცემა გაუსინჯეს,
გაუსინჯეს გულის ცემაც.
აქ ექიმმა არც აცხელა
და არც კიდევ აცივა,
თქვა: — სასწრაფოდ გავუკეთოთ
უნდა ოპერაციაო.
— არ წამოვალ! — ციყვუნია
გადაბრუნდა წერომით გვერდზე.
როგორც იქნა, აიყვანეს,
დააწვინეს საკაცეზე.
როგორც იქნა, ნელა-ნელა
მანქანაში ჩააბრძანეს
და სასწრაფო დახმარებით
ციყვუნია გააქანეს.
შიგნით იყო ოფლის ღვრა და
გარეთ ცივი ქარი ქროდა.

ექიმებმა რა არ სცადეს,
ციყვს რომ ფეხი შერჩენოდა
იყო თავის გაწირვა და
იყო დიდხანს შერკინება,
სასწაული მოახდინეს
დალოცვილმა ექიმებმა.
განა მარტო ტყის ბინადრებს,
ექიმებსაც უხარიოდათ:
დასჯირდება ოღონდ ციყვსო
წლის ბოლომდე მკურნალობა.
ისიც უთქვამთ: საქმე თუმცა
დასრულდაო გამარჯვებით,
კარგახანი კიდევ უნდა
იხმაროსო ეავარჯენი.
ციყვი კვლავ ტყეს დაუბრუნდა,
უყურებ და იწვი ცოდვით,
ბილიკზე რომ ქშენა-ქშენით
ეავარჯნებით მიდის-მოდის.
კმაყოფილი არის, მაგრამ
მაინც ამბობს გაჯავრებით,
რომ ვერ გადის ხიდან ხეზე
ამ ოხერი ეავარჯნებით.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი **ზაურ დეისაძე**

ობობა და ბრუსი

შოტლანდიური ლეგენდა

ოდესღაც შოტლანდიას განაგებდა მეფე, სახელად ბრუსი. მისი მეფობის ჟამი მძიმე და ულმობელი გამოდგა და მეფეს დიდი სიმამაცე და სიბრძნე მართებდა. ინგლისის მეფე განუწყვეტლივ თავს ესხმოდა შოტლანდიას, რომ მეფე ბრუსი მისივე ქვეყნიდან განედევნა.

ბრძოლას ბრძოლა მოსდევდა. ბრუსი თავისი მცირე ლაშქრით ექვსჯერ დაუხვდა მტერს, ექვსჯერვე დამარცხდა და ბოლოს, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, თავს გაქცევით უშველა. ჯარი დაექსაქსა და თვითონ კი ტყიან მთებში ერთ უდაბურ ადგილს შეაფარა თავი.

ერთ წვიმიან დღეს ბრუსი ფიცრულ ქოხში მიწაზე იწვა და სახურავზე წვიმის წკარუნს უსმენდა. დაღლილსა და დამწუხრებულს იმედის ნაპერწკალიც აღარ უღვიოდა, გულს ნაღველი უვსებდა, რადგან გამოსავალს ვეღარ ხეხედავდა.

მიწაზე ასე მიწოლილმა და ჩაფიქრებულმა მეფემ უცებ ობობა დაინახა; ობობა ჭერში ქსელის გაბმას ცდილობდა. ბრუსი დიდხანს ადევნებდა თვალს, ხედავდა, თუ რა სიფრთხილითა და გულმოდგინებით შრომობდა ობობა, ექვსჯერ სცადა სახურავის ერთი მხრიდან მეორემდე ქსლის ნაზი ძაფი გაება და ექვსჯერვე უმტყუნა ბედმა.

— საბრალო არსებავ, — თქვა ბრუსმა, — ახლა შენც იცი, თუ რა არის დამარცხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! მართალია, ობობას ბედმა ექვსჯერ უმტყუნა, მაგრამ იგი მხნეობას მაინც არ კარგავდა, უფრო მეტი გულმოდგინებით ემზადებოდა, რომ მეშვიდედ ეცადა და მიზნისათვის მეშვიდედ მაინც მიეღწია.

ბრუსი ხედავდა, როგორ ქანაობდა ობობა ქსელის ნაზ ძაფზე, და თავისი გასაჭირი სუმთლად გადაავიწყდა. ნუთუ ბედი მეშვიდედაც უმტყუნებს? არა! ობობამ ძაფი სხივთან უფნებლად მიიტანა და გულდაგულ მიაბა.

— მაშ მეც კიდევ ერთხელ ვცდი ბედს! — წამოიძახა ბრუსმა, თავისი მეომრები ისევ შეაგროვა, საწადელი გაანდო და მაცნეები ოთხკუთხივ აფრინა, რომ გულგატეხილი ხალხი გაემხნევებინა.

მალე მამაცმა შოტლანდიელებმა ზეკი ბოიყარეს მის გარშემო და ინგლისელებს სასტიკი ბრძოლა გაუმართეს. დამარცხებულმა ინგლისის მეფემ ბრძოლის ველიდან ძლივს გააღწია და თავის ქვეყანას მიაშურა.

ამბობენ, ამის შემდეგ ბრუსმა ყველას აუკრძალა, ობობა მოეკლათ ან მისთვის ქსელი დაენგრიათ. მეფემ გონებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა ის გაკვეთილი, რომელიც ამ პატარა სულდგმულმა ასწავლა.

ინგლისურიდან თარგმნა **მედეა ზაალიშვილმა**

მაია და ციცინათელები

თინა ჭანტურია

მაია — ნამვის ხის ნათურებო,
როდის გახდით ფრთიანი?
მთვარე რატომ არ გიყვართ,
ან დღე რად გმულთ მზიანი?

ციცინათელები — დღე შავ ხოჭოს გვიწოდებს
მთვარე გვჩაგრავს სხივებით,
აქ კი ჩვენ ვართ, იცოდეთ,
ღამის ზღაპრის გმირები.
ჩვენ რად გვინდა ცისკარი,
თუ სინათლე თან არ გვდევს?
ბედნიერი ის არის,
ვინც სიბნელეს ანათებს.

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

ზღაპარს რა უნდა

ანატოლი ქარდავა

ზღაპარს რა უნდა? —მოეოლა.
ჰოდა, უეკვება კიდეც
ჰაჰა გიორგი მაეკვალას
და თითისტოლა ტიტეს.
ზღაპარს რა უნდა? —მოსმენა.
ჰოდა, უსმენენ კიდეც
თვალებმაეკვალა მაეკვალა
და თითისტოლა ტიტე.

ბოსტნეულში რა შედის?

დორა გრატიაშვილი

ხუთიანი რომელს გინდათ,
ვინ მოეკვება გაკვეთილს?
აბა, გივი, მიჰასუხე,
ბოსტნეულში რა შედის?
—იხვი, ბატი, ინდაური,
კრუხ-წიწილა, გიშერა,
ბოსტნის კარი თუ ღიაა,
მაშინ ძროხაც კი შევა.

რაგბი

ნოდარ გუგუშვილი

საქართველოს რაგბისტთა წარმატებები საქვეყნოდ ცნობილია ჩვენშიც, უცხოეთშიც, მაგრამ განსაკუთრებით დიდი რეზონანსი, ანუ გამოხმაურება ჰქონდა ქუთაისის „აიას“ სამგზის გამარჯვებას საკავშირო ჩემპიონატში, რომელმაც მას, სავსებით კანონიერად, ქვეყნის უძლიერესი კლუბის სახელი დაუმკვიდრა. მალე საქართველოს რაგბისტთა კავშირი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რაგბის საერთაშორისო საბჭოს წევრი გახდება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ფედერაცია თვითონ, დამოუკიდებლად გადაწყვეტს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა საკითხს და საქართველოს გუნდები საერთაშორისო შეჯიბრებებში სუვერენული უფლებებით გამოვლენ.

რაგბის ისტორია რამდენიმე ლამაზ ლეგენდასთან არის დაკავშირებული. მათ შორის ერთი სხვებზე უფრო მეტად სინტერესო და ყურადსაღებია.

1915 წლის 18 ივნისს ჰერცოგმა ველინგტონმა ვატერლოოსთან ნაპოლეონის არმია დაამარცხა. მას შემდეგ ამ თარიღს ინგლისში საგანგებოდ აღნიშნავდნენ. 1823 წელს ველინგტონის გამარჯვების აღსანიშნავად ქალაქ რაგბიში, რომელიც ლონდონიდან 300 მილითაა დაშორებული, ფეხბურთელთა მატჩი მოეწყო. ამ მატჩის ერთ ეპიზოდს რაგბის დაბადებას უკავშირებენ.

...შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ბრძოლის ჟინით აღტყინებულმა ინგლისელ უილიამ უებ-ელისმა ხელი დასტაცა ბურთს, გაარღვია მცველთა მჭიდრო მწკრივი, დიდი სისწრაფით შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და ხელითვე გაიტანა ლამაზი გოლი.

ფეხბურთის წესის უხეში დარღვევა, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მაგრამ შემთხვევის შეფასებისას სპეციალისტთა აზრი გაიყო, ზოგს ელისის საქციელი მოეწონა კიდეც. იმავე საღამოს ქალაქის ერთ-ერთ მყუდრო

მხატვარი ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

19.324

სამიკიტნოში შეკრებილმა სპორტის თავკაცებმა ახალი სპორტული თამაშის დაბადება გამოაცხადეს. მას ერთხმად რაგბი ეწოდა.

ლეგენდის შემოწმება ძნელია. ლეგენდა ხშირად სიმართლეს არც გამოხატავს. არადა ამ ლეგენდაში ერთი რამ არის უტყუარი. ფეხბურთში ხელით ელისის დროსაც და ელისამდეც თამაშობდნენ თურმე.

რაგბის მსგავსი პაექრობა ჯერ კიდევ XV საუკუნეში ყოფილა ცნობილი აპენინის ნახევარკუნძულზე და მას ფლორენციულ ფეხბურთს უწოდებდნენ. თამაშს ბევრი თაყვანისმცემელნი ჰყავდა, მათ შორის აღორძინების ეპოქის უდიდესი მოაზროვნე ლეონარდო და ვინჩი, ცნობილი მწერალი-პოლიტიკოსი ნიკოლო მაკიაველი, და სხვანი და სხვანი. ისტორიკოსები სწორედ ფლორენციულ ფეხბურთს მიიჩნევენ თანამედროვე რაგბის უპირველეს წინაპრად, თუმცა...

მსგავსი თამაში ძველი რომისა და ჩინეთის ქრონიკებშიც არის აღწერილი, მაგრამ ამით 16 წლის ინგლისელი ჭაბუკის დამსახურება ოდნავ არ იბღალება. ამის დასტური გახლავთ ქალაქ რაგბიში აღმართული ქანდაკება, რომელიც სამახსოვრო მატჩის ეპიზოდს ასახავს.

რა მოხდა მერე?

1862 წელს შემუშავდა რაგბის პირველი ოფიციალური წესები, 9 წლის შემდეგ კი შეიქმნა „რაგბი-ფეხბურთის" კავშირი, ორგანიზაცია, რომელსაც ამ სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია დაეკისრა. ინგლისელმა კოლონისტებმა რაგბი სხვა ქვეყნებში გაიტანეს. ახალმა თამაშმა ყველაზე მეტად ფეხი მოიკიდა სამხრეთ აფრიკაში, ამერიკის კონტინენტზე, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. განსაკუთრებით მოეწონა იგი ახალ ზელანდიის მკვიდრ მოსახლეობას — მაორის. ამ ტომის გამორჩეული მოთამაშეები (მაგალითად, ნეპაია) ყველა დროისა და ხალხის საუკეთესო რაგბისტებად არიან მიჩნეულნი.

ახალზელანდიელებმა რაგბი ახალი ელემენტებით გაამდიდრეს, ავსტრალიაში თამაშმა თვისებრივად ახლებური სახე მიიღო, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი იგი საფუძვლად დაედო ამერიკულ ფეხბურთს — სპორტის ყველაზე უფრო პოპულარულ სახეობას.

თიკარელა

გრიგოლ რურუა

თიკა, თიკა, თიკარელა
ცხვირს ყველგან ეოფს, ვით თხუნელა,
გადმოქექა უჯრა ყველა
ჩქარა, ჩქარა, განა ნელა.
იქ სინათლე დააბნელა,
იატაკიც დაასველა,
აატირა ბიჭი გელა,
გააოცა ბაღში ყველა.
„რას სჩადიხარ, ქალო, შენა?"
„ასე შვება, ბაბუ, ყველა."
იჭყიტება როგორც მელა,
მისთვის ფხიზლობს სახლში ყველა.
ასეთია ჩვენი თიკა,
თიკა, თიკა, თიკარელა.

მხატვარი **გესო ხიდაშელი**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შამილის რისხვა

შამილი მთიელი იყო, კავკასიონის შვილი. დაიბადა იგი დაღესტანში, აულ გიმირში, 1797 წელს, გარდაიცვალა 1871 წელს, რუსეთის იმპერიის გარეთ, მედინაში, საუდის არაბეთში.

შამილის მამა გლეხი იყო, მაგრამ შვილს იმ დროისათვის კარგი აღზრდა მიაღებინა მუსლიმან სასულიერო პირებთან. შამილი თავიდანვე გამოირჩეოდა როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი სიმკვირცხლით. იგი ადრეული ჭაბუკობიდანვე ჩაება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთი მაშინ მთის ხალხებს იპყრობდა.

1834 წელს, ჰამზათ-ბეგის დაღუპვის შემდეგ, მთიელებმა იმამად—უმაღლეს მთავარსარდლად და სახელმწიფოს მეთაურად— შამილი აირჩიეს. შამილის სახელი პირველი ბრძოლებიდანვე ლეგენდებით შეიმოსა. ხალხი ეთაყვანებოდა მას. რუსეთის ჯარი მარცხდებოდა და მარცხდებოდა. მაგრამ რუსეთი ძალიან დიდია. ოც წელიწადზე მეტ ხანს ებრძოდა შამილს და ბოლოს გამარჯვების ბედი მისკენ გადაიხარა. სულ რამდენიმე აულიღა იყო შამილის ხელში.

ასეთ ვითარებაში შამილთან მივიდა დედა, ილოცა მისთვის და ბოლოს გაუბედა: შვილო, შამილ, ძნელია ამის თქმა, მაგრამ აუცილებელია. ტყუილადღა ღვრი ჩვენი საცოდავი ხალხის სისხლს, რუსეთის ვეშაპის შემკავებელი თვით ალაჰიც კი აღარ არის.

შამილი გაფითრდა, მას მტკიცედ ჰქონდა დაკანონებული, რუსთა სასარგებლოდ სიტყვა არ უნდა თქმულიყო მის ხალხებში, ეთანხმებოდა დახუჭა და ისე ბრძანა:

— ორმოცდათი როზგი დედაჩემს! ჯალათო, თუ კი შეგეტყო, რომ ინდობ დედაჩემს, თავს დასტოვებ მანდვე.

დედამ არ ითხოვა შეწყალება. ზღვა ხალხის წინ მან მხოლოდ თმა ჩამოიშალა და დაიჩოქა. ჯალათი თავის საქმეს შეუდგა. ერთი დარტყმა, მეორე. დედა უხმოდ იტანდა დარტყმებს. მესამე, მეოთხე, მეხუთე!... და შამილმა ხელი ასწია. მივიდა დედასთან, წამოაყენა, მკაცრად შემოავლო თვალი ხალხს.

— დედა იმსახურებს სასჯელს. მაგრამ შვილს აქვს უფლება დედის სასჯელი თვითონ მოიხადოს. ჯალათო, დანარჩენი 45 მე დამკარი. არ შეგეტყოს შებრალება, თორემ, შეიძლება, თავი დასტოვო აქვე.

და დიდმა იმამმა ბეჭებზე გადაიძრო ჩოხა, დაიჩოქა. თვლა დაიწყეს. ჯალათმა დაჰკრა იმამს, მის ბეჭებზე პირველი წითელი ხაზი იბერებოდა ნელ-ნელა...

მხატვარი **ედუარდ ამგოკაძე**

ვბურთაობდით მე და ტალღა,
არ შეეტეო იმას დაღლა.
რამდენჯერაც გადავუგდე,
აისროლა ბურთი . . . . .
პირველობა იმას დარჩა,
დავიღალე, შემრცხვა თანაც.
მეტი უნდა ვივარჯიშო, —
ასე ამბობს დედაც, ...

ნორა ფაფიაშვილი



ნანა ერაძე

1. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი.
2. საქართველოს ეროვნული გმირი.
3. „დედა ენის“ შემქმნელი.
4. საქართველოს უდიდესი მდინარე.
5. პოეტი, რომლის დაბადების 150 წლისთავი სრულდება ახლა.

ფერად ზოლში მიიღებთ ამ პოეტის სახელს.

დილა

საქართველოს ალკპ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაგუა, სმსილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, თენგიზ ჩალაური (პ/მგ.მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჯიჯინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ენდი ფერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 29.03.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.06.90 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეკვეთა № 773

ყდაზე ნახატი
ვაჟა ჭურხულისა

«Дила» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Реваз Инанишвили (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. М. Коставы 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 141.500. Заказ № 773

6193/82

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ბიჭის" საბავშვო ჟურნალი

მაია უტიაშვილი, 6 წ.

ლია ლაჯავა, 6 წ.

გიორგი დანელია, 6 წ.